

### 1. აქტუალური თემა: საქართველო და სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP)

ქართველი მეწარმეები სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებულ სისტემას (GSP) ნაკლებად იყენებენ. მიზეზებზე *სარკეს* ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს გენერალურმა მდივანმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა მოახსენა.

*როგორ იყენებს საქართველო GSP-ს?*

**ზალდასტანიშვილი:** ევროკავშირის დღეისათვის მსოფლიოს 180-ზე მეტი ქვეყნისათვის აქვს მინიჭებული GSP-ით მოსარგებლე ქვეყნის სტატუსი, რაც ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 6,900 დასახელების პროდუქცია შემცირებული ან ნულოვანი ტარიფით შეიტანონ. საქართველო ხსენებული სქემით 1995 წლიდან სარგებლობს.

2005 წლიდან კი ევროკავშირმა შეღავათების ახალი სქემა - GSP+ აამოქმედა, რომლის მიხედვითაც 7,200 სახეობის პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე საიმპორტო გადასახადისგან თავისუფლდება. საქართველო იმ 14 ქვეყნის სიაში მოხვდა, რომლებიც GSP+-ის სქემით სარგებლობის უფლება მისი მოქმედების დაწყების დღიდან.

სამწუხაროდ, ამას ევროკავშირთან ვაჭრობაში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები არ გამოუწვევია. მიჭირს ზუსტად გითხრათ, თუ რამდენი დასახელების პროდუქციის ექსპორტი ხდება საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე შეღავათების GSP+ სქემის გამოყენებით, თუმცა იმისი თქმა შემიძლია, რომ ეს ციფრი დიდი არ არის.

*რა პრობლემები წარმოიშობა GSP-ის გამოყენების პროცესში?*

**ზალდასტანიშვილი:** როგორც მოგეხსენებათ, GSP ბენეფიციარ ქვეყნებს მხოლოდ სატარიფო შეღავათებს სთავაზობს. რაც შეეხება ვაჭრობაში არსებულ არასატარიფო ბარიერებს, როგორებიცაა სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნები, სტანდარტები, სურსათის უვნებლობა და სხვა, მათი გადალახვა არც თუ ისე იოლია.

ვინაიდან ქართველი ექსპორტიორების მიერ არასატარიფო ბარიერების გადალახვა ხშირ შემთხვევებში ჭირს, გარკვეულწილად “ლიმიტირებულია” GSP+-ის გამოყენების შესაძლებლობაც.

იმისათვის რომ გაიზარდოს GSP+-ის გამოყენება, აუცილებელია ამ სქემით გათვალისწინებული შეღავათების და მათი გამოყენების წესების შესახებ მეწარმეებს ინფორმირება. ეს როგორც სახელმწიფოს, ასევე ბიზნეს-ასოციაციების გასაკეთებელია.

ამ მიმართულებით ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო აქტიურად მუშაობს. ჩვენ ქართველი ექსპორტიორებისთვის ქართულ ენაზე გამოვეცით პუბლიკაცია, რომელიც ევროკავშირის სატარიფო შეღავათების სისტემას დეტალურად აღწერს, და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შესაბამისი სემინარებიც ჩავატარეთ. თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის.

*რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველომ GSP+ უფრო ეფექტურად გამოიყენოს?*

**ზალდასტანიშვილი:** ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის ექსპორტირებისათვის აუცილებელია, რომ ის ევროკავშირის ბაზრის ისეთ მკაცრ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, როგორებიცაა ჯანმრთელობის უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და სხვა.

ზემოხსენებული არასატარიფო ბარიერების დასაძლევად საქართველოში გარკვეული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმებია გასატარებელი, რაც, თავის მხრივ, როგორც კერძო სექტორის, ასევე სახელმწიფოს აქტიურ და კოორდინირებულ მოქმედებებს მოითხოვს.

ვაჭრობაში არსებული არასატარიფო ბარიერების გადალახვა საქართველოს ექსპორტირებისათვის რთულ პრობლემას წარმოადგენს. ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების გაფორმებას (*აშ მმართველობით მოლაპარაკებები მიმდინარეობს*). საგულისხმოა, რომ ეს შეთანხმება ქართველ ექსპორტიორებს არა მხოლოდ სატარიფო ბარიერების, არამედ არასატარიფო ბარიერების დაძლევაში დაეხმარება.